სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 4 23 0000960243

03/08/2023

სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის" 22-ე მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის № 10/ნ ბრძანების, ,,2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2023 წლის 28 ივნისის MES 3 23 000001.1/86 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 5 ივლისის N 01-05-04/107 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, 2023-2024 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის, რომლებმაც სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე (https://students.emis.ge) რეგისტრაციის შედეგად მოიპოვეს სტუ–ში მობილობის წესით

ჩარიცხვის უფლება, განცხადება (დანართი 1) და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 2) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2023 წლის 11-15 სექტემბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება: 10^{00} სთ-დან - 16^{00} სთ-მდე: თბილისი. კოსტავას 77, ადმინისტრციული კორპუსი, 1- ლი სართული, სტუ-ის კანცელარია;

2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს თ. წერეთელს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ის საქმის წარმოების დეპარტამენტს;
4. დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების ადმინისტრაციას მოტივირებული დასკვნების მომზადება (დანართი 3) და შედეგების მობილობის მსურველთათვის გაცნობა არაუგვიანეს 2023 წლის 18 სექტემბრისა;
5. ფაკულტეტის მიერ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ ბრძანების პროექტის (დანართი 4) სასწავლო პროცესების მართვის სამსახურში წარდგენის ვადა განისაზღვროს არაუგვიანეს 2023 წლის 19 სექტემბრისა;
6. 2023-2024 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ერთიანი ბრძანების პროექტის მომზადება და სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ელექტრონულად ასახვა უზრუნველყოს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა არა უგვიანეს 2023 წლის 21 სექტემბრისა;
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე–რექტორს ლ.კლიმიაშვილს;
8. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
10. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N64).

რექტორის მოადგილე
ზურაბ გასიტაშვილი